

## თავი 25 ერთგული ამომრჩეველი

როდესაც აპლოდისმენტები ჩაცხრა, კანდიდატი ჯო ისევ უმოძრაოდ იდგა სცენაზე. მოქმედება უფრო აქტიური რომ გამხდარიყო, შოუმენმა ჯოს მხარზე ხელი დაარტყა და გასასვლელისკენ უბიძგა. ჯომ გაიღიმა და არც კი განძრეულა. ფილმა, აუდიტორიის გაჩუმების მიზნით, ორივე ხელი ასწია.

– მინდა ვიღაც წარმოგიდგინოთ, – დაიწყო ჯომ.

– რა თქმა უნდა ჯო, მაგრამ ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვაქვს.

– ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს წავგართმევს. მინდა რაღაც გითხრათ ჩვენს საერთო ამომრჩეველზე – ჩვენს ნომერ პირველ ამომრჩეველზე. ჯო გვერდით შებრუნდა და ხელით მიუთითა ვიდაცაზე სცენის მიღმა. არავინ გამოჩენილა, მაგრამ მან კვლავ გაიმეორა ჟესტი, თითქოს უხმობდა მორცხვ ბავშვს, რომელსაც ახლახან აედგა ფეხი. როგორც იქნა ფერმკრთალი, ხანდაზმული ქალი გამოჩნდა, რომელიც თავდაპირველად ფარდის ნაკეცს იყო ჩაბლაუჭებული და შემდეგ ნელი ნაბიჯით წამოვიდა წინ. ფილი დაუყოვნებლივ მივიდა ამ პატარა ტანის ქალთან და მას სცენის ცენტრისკენ უბიძგა.

– ქალბატონებო და ბატონებო! – ნერვიულად თქვა ფილმა. ქალის სიმორცხვემ ფილის ენთუზიაზმის სიყალბე გამოაველინა. – შეხედეთ, დღეს რა ჯილდო გვერგო და ვინ გვესტუმრა აქ?!

მოსუც ქალს უბრალო შავ-თეთრი კუბოკრული კაბა ეცვა. მის გვერდით ჯო კარიკატურას დაემსგავსა. ქალს ფერმკრთალი სახე უემოციო, თვალები კი უმეტყველო ჰქონდა. ჭადარა თმა ყურებზე გადაევარცხნა, ხელში პატარა შავ-თეთრი ჩანთა ისე ჩაებღუჯა, თითქოს შიგნით ძვირფასეულობა ჰქონოდა.

ჯოსთან მიახლოებისთანავე დაიწყო ლაპარაკი:

– როგორც იცი ფილ, წლების მანძილზე ჩვენს კუნძულზე ხმის მიცემის მონაცემები ძალიან მწირი იყო, მაგრამ ამან სულაც ვერ გაუტეხა გული ჩვენს სტუმარს, ფოუბის. ფოუბიმ ხმის მიცემის რეკორდი მოხსნა კორუმპოში.

ფილს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

– ო, მსმენია თქვენს შესახებ, იმდენი რამ ვიცი თქვენზე, ქალბატონო. იგი ხმის ერთგული მიმცემი იყო; საარჩევნო ბიულეტენის რეკორდსმენი; კუნძულის მანდატების ჩემპიონი. ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ ნამდვილად ბედნიერები ვართ ფოუბი საიმონის სტუმრობით.

ხალხმა კვლავ მქუხარე აპლოდისმენტებით უპასუხა. თუმცა ზოგიერთი მათგანი უკანა კარებისკენ მიიპარებოდა, ზოგი კი პროგრამის ფურცელს იფარებდა მთქნარების დასაფარად.

– ფოუბი, – თქვა შოუმენმა ფილმა, – რაღაც კითხვა მაქვს და დარწმუნებული ვარ ყველას იგივე უტრიალებს გონებაში, – გაჩუმდა და მშვიდად მიმოიხედა დარბაზში, – რატომ აძლევთ ხმას რეგულარულად? – ჰკითხა გულუბრყვილოდ.

ფოუბიმ ნაზი, ტკბილი ხმით უპასუხა:

– იცით რა, სერ, ხმის მიცემა ჩემი მოვალეობაა – ამას ქადაგებს საბჭო. ამბობენ, მნიშვნელობა არ აქვს ვის მისცემ ხმას, ჰოდა მეც ასე ვიქცევი. ხმის მიცემა დავიწყე მას შემდეგ, რაც ამის უფლება მომენიჭა. ეს იყო 50 წლის წინ.

– ოჰო! წამოიძახა ფილმა! 50 წელი, – დაუჯერებელია არა ხალხო?!

აუდიტორიამ კიდევ ერთხელ დაუკრა ტაში.

– ნება მომეცით, უკანასკნელი კითხვა დაგისვათ. ფოუბი, არსებობს ასეთი გამონათქვამი: როგორი მსუბუქიც არ უნდა იყოს ცოდვა, იგი მაინც ცოდვაა. ახლა სიმართლე მითხარით, მის საიმონ. თუ არც ერთი კანდიდატი არ მოგწონთ, მაინც აძლევთ ხმას?

– ყოველთვის, სერ, მამაჩემი მეუბნებოდა, რომ ხმას თუ არ მივცემდი, მაშინ არჩეული პირის მიმართ უკმაყოფილების გამოთქმის უფლება არ მექნებოდა. ხმას ვაძლევდი, რათა ჩემი უკმაყოფილების გამოთქმის უფლება დამეცვა.

– რას იტყვით ამაზე, ხალხო? გულწრფელად მითხარით, მის საიმონ, გჯერათ ჯოს დაპირების?

– რა თქმა უნდა, მჯერა. მე ყოველთვის მჯერა. რომ არ მჯეროდეს, ხმას ხომ არ მივცემდი!

– იცით რას ამბობენ თქვენზე ექსპერტები? ისინი ამტკიცებენ, რომ თქვენ უკანასკნელი ერთგული ამომრჩეველი ხართ კორუმპოში.

– დიას სერ, მსმენია მათ შესახებ, – ძლივს ამოიღულულა ფოუბიმ, – მეც მჯერა მათი. მე თქვენიც მჯერა და საერთოდ, ყველასი მჯერა.

ფილი ხალხისკენ მიბრუნდა, გულზე ხელი დაიდო და წარმოსთქვა:

– ქალბატონებო და ბატონებო, ასეთი ბავშვური და გულუბრყვილო ნათქვამი თუ გსმენიათ ოდესმე. განა შესანიშნავი არ არის, რომ გულუბრყვილობას შეიძლება კვლავ შეხედეს კაცი ჩვენს კუნძულზე, – იგი თავის სტუმარს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– და ფოუბი საიმონ, თქვენს მიერ ამორჩეულს ოდესმე იმედი თუ გაუცრუებია თქვენთვის?

– ო, რა თქმა უნდა, – შეიშმუნა ფოუბი, – მან იმდენჯერ მატკინა გული, მაგრამ ვიტან ჩემი რეპუტაციის გამო, – მან ჯოს მკლავზე ხელი ჩასჭიდა და ოდნავ დაეყრდნო, – ჩემს ჯოს ისევე ვერ შეველევი, როგორც ჩემს რეპუტაციას.

ამის შემდეგ ვიღაცამ დარბაზიდან დაიძახა:

– რატომ გჯერათ ამდენი გულისტკენის შემდეგ?

მან ჯოსკენ გაიხედა და უპასუხა:

– გულის სიღრმეში მჯერა, რომ ის კარგი ადამიანია, მჯერა, რომ მას შეუძლია შეცვალოს რაღაც და მე შემიძლია ამაში დავეხმარო. მჯერა, რომ ის ნამდვილად ზრუნავს ჩემზე. უბრალოდ ვერ მიგებს.

– ო, – აღმოხდა დარბაზს ერთხმად.

– ხალხნო, ამის გაგონებაზე თვალებზე ცრემლი მადგება, მაგრამ ეს უფრო სიხარულის ცრემლია. თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ხომ არ ცდილობდა თქვენს ანონიმურ ამომრჩეველთა რიგებში გაერთიანებას?

– ო, არა ბატონო, – უპასუხა ფოუბიმ, – ანონიმურ ამომრჩეველთა რიგებში ერთიანდება მხოლოდ ის, ვისაც პრობლემები აქვს. მე კი პრობლემები არ მაქვს. თქვენ როგორ ფიქრობთ, რაიმე პრობლემა მაქვს?

– ფოუბი, ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ამომრჩეველები, იმედგაცრუების მიუხედავად, ყოველთვის ცდილობენ თავიანთი რეპუტაციის აღდგენას.

მან ჯოს შეხედა და ჰკითხა:

– როგორ ფიქრობ, ჯო, მე პრობლემები მაქვს? არა მგონია რომ ასე იყოს.

ჯოს ღიმილის შემჩნევისთანავე ფოუბიმ კვლავ გაიმეორა:

– მე ვზრუნავ ჩემს რეპუტაციაზე.

ზარის დარეკვამ ფილს ამცნო, რომ დრო ამოიწურა. მან ყველას გასაგონად თქვა:

– რა გვეშველებოდა ისეთი ერთგული ადამიანების გარეშე, როგორიც ფოუბი საიმონია? ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მოდით ერთად გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული ქალბატონ საიმონსსა და ჯო კანდიდატისადმი!

მაყურებელმა სიხარულით დაუკრა ტაში, რადგანაც ნამდვილი შოუს დაწყების დრო დადგა.